საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი

ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია საქართველოს კონკურენციის სააგენტოსგან გამოითხოვოს საჯარო ინფორმაცია, ელექტრონული ფორმით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2014 წლის 29 დეკემბრის N31 ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად. (იხ. https://matsne.gov.ge/ka/document/download/2656934/1/ge/pdf)

დაინტერესებულმა პირმა საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მიღების მიზნით, საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შესახებ ხელმოწერილი და დასკანერებული განცხადება უნდა გამოგზავნოს სააგენტოს ოფიციალური ელექტრონული ფოსტის - info-gca@competition.ge - მეშვეობით ან წარმოადგინოს სააგენტოს ოფიციალურ მისამართზე მატერიალური ფორმით.

განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- **ფიზიკური პირის შემთხვევაში:** განმცხადებლის სახელს, გვარს, პირად ნომერს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს და ელექტრონული ფოსტის მისამართს;
- **იურიდიული პირის შემთხვევაში:** საწარმოს/ორგანიზაციის დასახელებას, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართს და ხელმძღვანელი პირის სახელს და გვარს.
- მოთხოვნას.